წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენასთან დაკავშირებით

ოქმი №4

01 ოქტომბერი 2022 წ.

დღის წესრიგი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ ისა და მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები , დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით, სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენა.

სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| 1 | გენადი ბალანჩივაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე |
| 2 | გრიგოლ ყურაშვილი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე |
| 3 | თეიმურაზ ჭეიშვილი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე |
| 4 | არჩილ ღიზრაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე |
| 5 | ლევანი ჩანქსელიანი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე |
| 6 | მაკა ჭელიძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე |
| 7 | რევაზ დიდავა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე |
| 8 | შალვა კილაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე |
| 9 | ფატი გაგოშიძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი |

| | | |
|---|---|---|
| 10 | ვახტანგ | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი |
| 11 | ნათია ჩაკვეტაძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი |
| 12 | რიმა მარგიანი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი |
| 13 | მალხაზი ჩხეიძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და |
| 14 | მარეხი კანკაძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის |
| 15 | მაკა თედორაძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი |
| 16 | ირაკლი თევდორაძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი |
| 17 | გიორგი ჩაკვეტაძე | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი |
| 18 | ზურაბ ჯანელიძე | სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი |
| 19 | ნიკოლოზ თევდორაძე | მერის წარმომადგენელი ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულში |
| 20 | ირმა ხელაძე | მერის თანაშემწე - მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი |

მოიმინეს:

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის მოხსენება . მან სამუშაო ჯგუფს გააცნო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრული ჭერების შესახებ. აღნიშნა რომ ჭერების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა მინისტრის #04-03/89431 წერილის საფუძველზე (2023-2026 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზები). აღნიშნა რომ 5 ოქტომბრისათვის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ელოდება 2023 წელს მისაღები პროგნოზირებული დამატებითი ღირებულების და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელს. ასევე წყალტუბო

მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, შესაძლებელი იქნება **მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენა.**

მანვე კომისიას წარუდგინა მიმდინარე წლის 20 აპრილის #1 ოქმი, სადაც მარტის თვეში გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა და განისაზღვრა პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ძირითადი პრიორიტეტები დარჩა უცვლელი.

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

**აზრი გამოთქვეს:**

გენადი ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოადგილე.

მალხაზ ჩხეიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

ნათია ჩაკვეტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

შალვა კილაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

გამომსვლელებმა იმსჯელეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე . პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა მალხაზი ჩხეიძემ ისაუბრა იმ საჭიროებებზე რომელიც მუნიციპალიტეტშია ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე და დაასაბუთა მის მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნები თანხის საჭიროებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობის საჭიროებებზე გაამახვილა ყურადღება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა ყველა წარმოდგენილი მოთხოვნები.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი შედგეს იმგვარად რომ იგი იყოს ხალხთა საჭიროებებზე მორგებული.

დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით მოამზადოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე: გენადი ბალანჩივაძე

კომისიის წევრები: გრიგოლ ყურაშვილი

თეიმურაზ ჭეიშვილი

არჩილ ღიბრაძე

ლევან ჩანქსელიანი

მაკა ჭელიძე

რევაზ დიდავა

შალვა კილაძე

ფატი გაგოშიძე

ვახტანგ ნადარეიშვილი

ნათია ჩაკვეტაძე

რიმა მარგიანი

მალხაზი ჩხეიძე

მარეხი კანკაძე

მაკა თედორაძე

ირაკლი თევდორაძე

გიორგიჩაკვეტაძე

ზურაბ ჯანელიძე

არსენა ჩუბინიძე

ნიკოლოზ თევდორაძე

ვაჟა ჟორჟოლიანი

ირმა ხელაძე